

## სკოპინგის დასკვნა N 67

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯი ეი ეფ გრუპი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალთაკლია;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 24.10.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ჯი ეი ეფ გრუპი“.

### ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ მიერ წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალთაკლიაში ასფალტის წარმოების პროექტის სკოპინგის ანგარიში.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალთაკლიაში, შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ მიერ, ასფალტის წარმოებაზე, 2020 წლის 30 იანვარს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N2-81), გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად სკოპინგის პროცედურის გავლა.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საწარმო ექსპლუატაციის რეჟიმშია. გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტზე შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ მიერ საწარმო მოწყობილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალთაკლიაში, შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 36 734 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.06.24.631), თუმცა სკოპინგის ანგარიშში მოცემულია უზუსტობა აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ, რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 400 მ-ით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან სამხრეთით - 7 მ-ით, ხოლო საპროექტო დანადგარის განთავსების ადგილიდან (GPS კოორდინატები: X-500220; Y-46035775) 108 მეტრით. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში, რომლის სიახლოვეს განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის საწარმოო ობიექტები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება თავდაცვის სამინისტროს სასაწყობე ტერიტორია (საყოფაცხოვრებო ნივთების საწყობი), 300 მ-ში მდებარეობს ცხოველების საკვების დამამზადებელი საწარმო, საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს სააქციო საზოგადოება სამშენებლო კომპანიის „თბილისი“-ს ავტომობილების სადგომი, ჩრდილო-აღმოსავლეთით 330 მ-ში ასფალტის ქარხანა და 360 მ-ში ტყვიის სხმულების წარმოების ქარხანა. მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტის დადგენა-შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო საწარმოს სიახლოვეს არსებული ობიექტების შესახებ, სამრეწველო ობიექტების ფუნქციური სტატუსების მითითებით, მათ შორის

**განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ანალოგიური ფუნქციის მქონე სამრეწველო ობიექტებზე.**

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების საკითხების ურთიერთშეწონის საფუძველზე. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, უპირატესობა მიენიჭა „ტელტომატ v/3 R“ მარკის ასფალტის ქარხნის მიერ ბუნებრივი აირის (2995200 მ<sup>3</sup>/წელ) გამოყენების შესაძლებლობას, საწარმოს სამუშაო რეჟიმად კი განისაზღვრა წელიწადში 260 დღე, 8 სთ სამუშაო დღის ხანგრძლივობით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ასფალტის წარმოებისთვის საჭირო დანადგარი („ტელტომატ V/3-R“) შპს „ჯი ეი ეფ გრუპმა“ შეიძინა შპს „ჯეო სერვისისგან“, რომელზეც გაცემული იყო შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და ფუნქციონირებდა საპროექტო ტერიტორიიდან 430 მ-ის მანძილზე (81.06.22.261), თუმცა გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ასფალტის წარმოებისთვის საჭირო დანადგარის გადატანა და განთავსება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ აღთაკლიაში, შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (81.06.24.631).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია „ტელტომატ V/3 R“ მარკის დანადგარი (80ტ/სთ), მისთვის საჭირო აგრეგატებით, ბიტუმის სახარში რეზერვუარებით, ბიტუმსაცავებით. საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 166 400 ტონას, წელიწადში 260 დღის 8 საათიანი სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით.

ასფალტ-ბეტონის წარმოების დანადგარი შედგება შემდეგი კვანძებისგან: მადოზირებელი მოწყობილობა, შემრევი მოწყობილობა ძირითადი აპარატით, მზა პროდუქციის ბუნკერი, საშრობი დოლი, მტვერდამჭერი მოწყობილობები, ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები, ბიტუმის მიმწოდებელი რეზერვუარები, მინერალის მადოზირებელი, საკვამლე მილი, ოპერატორის კაბინა და კონვეიერული გალერეა.

საწარმოს გააჩნია ბიტუმის სახარში ერთი ცისტერნა, რომლის მოცულობაა 40 ტონა. ბუნებრივი აირის ხარჯი ბიტუმსახარში დანადგარის ღუმელში ტოლია 40 მ<sup>3</sup>/სთ. საწარმოში ბიტუმის მისაღებად მოწყობილია სამი ცალი, 40 ტონა მოცულობის ბიტუმის რეზერვუარი. ბიტუმის რეზერვუარებში (ბიტუმსაცავებში) ბიტუმი ზეთის საშუალებით ცხელდება, რომელიც თავის მხრივ ცხელდება ღუმელში, სადაც ბუნებრივი აირის ხარჯი ტოლია 12 მ<sup>3</sup>/სთ-ის. ზეთის გამაცხელებლის საშუალებით ხორციელდება ასევე ბიტუმის ტრანსპორტირებისთვის საჭირო მილგაყვანილობის გაცხელება. „ტელტომატში“ გამოიყენება ერთსაფეხურიანი მტვერდამჭერი სისტემა-ჯგუფური ოთხგანყოფილებიანი ციკლონი, რომელიც უზრუნველყოფს 95%-იან დაჭერას.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი ინერტული მასალების სასაწყობე ტერიტორიაზე შეტანით და შვიდ ცალ ბუნკერზე მიწოდებით იწყება, საიდანაც ნედლეული ლენტური ტრანსპორტიორით მინერალური მასალების მზრუნავ გამშრობ დოლს მიეწოდება და სათბობის წვით მიღებული სითბოს ხარჯზე ქუცმაცდება. გამშრობი დოლიდან გამოსული ცხელი ინერტული მასალა ციცივიანი ელევატორით გადაიტანება ცხელ საცერზე, სადაც ხდება მათი დანაწილება ოთხ მარცვლოვან და უხეშ ფრაქციად. შემდგომ სპეციალურ სასწორებზე ხდება მათი დოზირება წინასწარ განსაზღვრული რეცეპტის მიხედვით და შერევა ბიტუმთან. შემრევი მოწყობილობაში ბიტუმის მილსადენები, არმატურები და

ბიტუმის ტუმბო ცხელდება ზეთის ხარჯზე (რომელიც თავის მხრივ წინასწარ ცხელდება ზეთის გამაცხელებელში), რათა ბიტუმი გამოშრეს და მისი ტემპერატურა ავიდეს სამუშაო ტემპერატურამდე. შემრევი მოწყობილობებიდან გამოსული მზა პროდუქციის ჩატვირთვა წარმოებს მოძრავი ბადით, რომელიც ყველა მხრიდან იზოლირებულია. მზა პროდუქცია გადაიტანება პროდუქციის ღუმელში და ავტოტრანსპორტით წარმოებს მომხმარებლებზე გაცემა. გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების საკითხი, სატრანსპორტო ოპერაციების მარშრუტისა და რაოდენობების მითითებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და სახანძრო მიზნებისთვის. საწარმო სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალს (117 მ<sup>3</sup>/წელ) იღებს ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები (105.3 მ<sup>3</sup>/წელ) კი იკრიბება ბეტონის ორმოში, თუმცა სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საასენიზაციო ორმოს შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ექსპლუატაციის ეტაპზე არ ხდება ნავთობპროდუქტების გამოყენება და შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროები წარმოდგენილი არ არის. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანიაღვრე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარედ, გზის პირას გამავალ არხში. ამასთან, მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში სათანადოდ იქნეს შეფასებული უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტზე (მდ. მტკვარი) მოსალოდნელი ყველა შესაძლო ზემოქმედების საკითხი.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად ობიექტზე მოსალოდნელია, როგორც საწარმოო ისე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. მტვერდამჭერში დაჭერილი მასის გამოყენება გათვალისწინებულია ასფალტის წარმოებაში ფილერის სახით. სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში, რომელიც პერიოდულად იქნება გატანილი ადგილობრივი კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით ყველა სხვა სახის ნარჩენი შეგროვდება კონტეინერული წესით და პერიოდულად იქნება გატანილი ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, რაც საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის (სოფ. აღთაკლია) გათვალისწინებით საჭიროებს დაზუსტებას.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისთვის.

პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან. ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია - არაორგანული მტვერი, ნახშირწყალბადები, აზოტის ორჟანგი და ნახშირჟანგი. სკოპინგის ანგარიშში იდენტიფიცირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 9 სტაციონარული წყარო. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება როგორც წარმოების პროცესში, ისე ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისას. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო შეფასებისა და ზემოქმედების

მნიშვნელობის დადგენის მიზნით (მათ შორის უახლოესი დასახლების მიმართულებით) მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარის მიმართულებები. ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით დაიგეგმოს სათანადო ქმედითი და შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი 4500 მეტრ მანძილზე ნორმირებული ზონის საკონტროლო წერტილების საკითხიც.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ხმაურის წარმოქმნის ძირითადი წყაროს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე ტექნიკური საშუალებები, თუმცა უახლოეს მოსახლემდე მანძილის (400 მ) გათვალისწინებით, საწარმოდან მოსალოდნელი ხმაურის დონე და ვიბრაცია არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. საწარმოს სიახლოვეს არსებული საწარმოო ობიექტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე, როგორც ხმაურის გავრცელების ისე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შეფასება განხორციელდეს კუმულაციურ ჭრილში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე, ასევე სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 16 ნოემბერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. ალთაკლიის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე მოსახლეობის მხრიდან შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დაგეგმილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

2.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად **გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

3. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. **გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- საქმიანობის დეტალური აღწერა;
- პროექტის საჭიროების დეტალური დასაბუთება (სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საპროექტო ტერიტორიის აღწერა, მათ შორის საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდი და GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
- საპროექტო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოს დანადგარები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტექნოლოგიური უბნები, კანალიზაციის სქემა, ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- ინფორმაცია ვიზრაციისა და ელექტრომაგნიტური გამოსხივების გამომწვევი წყაროების შესახებ;
- პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთება. **გზმ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საწარმოს განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე და ზედაპირული წყლის ობიექტამდე მდებარეობის მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული ნებისმიერი ტიპის სამრეწველო ობიექტის და წარმოების შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის საწარმოში არსებული ტექნოლოგიური დანადგარების აღწერა, სიმძლავრე, წარმადობა, საპასპორტო მონაცემები;
- ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით. ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა და ტექნოლოგიური ციკლი, სქემატური ნახაზების მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის სამუშაო რეჟიმის შესახებ. საწარმოს საპროექტო წარმადობის (საათური, დღიური, წლიური) შესახებ;
- ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ (წლის, თვის, დღისა და საათის განმავლობაში);
- დეტალური ინფორმაცია ბიტუმსაცავის და ბიტუმის სახარშის (გაცხელების) შესახებ;

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;
  - ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების შესახებ;
  - ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების პირობების შესახებ, ასევე დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და მზა პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ, შესაბამისი სამომხრად მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით);
  - ამასთან მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომხრად გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;
  - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  - ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის შესახებ;
  - ინფორმაცია საპროექტო აირგამწმენდი სისტემის შესახებ, მათ შორის დეტალური ინფორმაცია პარამეტრებისა და ეფექტურობის შესახებ (საპასპორტო მონაცემების მითითებით);
  - ინფორმაცია მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის მართვის საკითხების შესახებ;
  - ინფორმაცია ობიექტების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ;
  - ინფორმაცია წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ;
  - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (აღნიშნული მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, მოსალოდნელი ზემოქმედების დასადგენად);
  - ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
  - საწარმოს ფუნქციონირების დროს შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების აღწერა;
  - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
  - დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
  - ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;
  - ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი **ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე**, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
  - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის საკითხები;
  - გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.
- პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- ვიზრაციით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრით. ამასთან, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- **კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით.** კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურის გავრცელებაზე), ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციებისათვის. კუმულაციური ზემოქმედება სრულყოფილად იქნეს შეფასებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარემოზე. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- საპროექტო ობიექტის მოსახლეობასთან სიახლოვის (400მ) გათვალისწინებით მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;

- ნარჩენების წარმოქმნით, გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია (ნარჩენების მართვის გეგმა);
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების მინიმუზაციის მიზნით, გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგი უახლოეს მოსახლესთან;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

**6. მნიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტის დადგენა-შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო საწარმოს სიახლოვეს არსებული ობიექტების შესახებ, სამრეწველო ობიექტების ფუნქციური სტატუსების მითითებით, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ანალოგიური ფუნქციის მქონე სამრეწველო ობიექტებზე;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაციური სქემის მიხედვით, საწარმოს სიახლოვეს მდებარეობს შპს „თი ეს გრუპის“ ცემენტისა და შპს „ჯეო სერვისის“ ასფალტის ქარხანა. სააგენტოში არსებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „თი ეს გრუპი“ ცემენტის წარმოებას ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდაში, შესაბამისად აღნიშნული საწარმოს მდებარეობის საკითხი, მათ შორის კუმულაციური ზემოქმედების კუთხით საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დასაზუსტებელია შპს „ჯეო სერვისის“ ექსპლუატაციის საკითხიც, შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ მიერ, შპს „ჯეო სერვისისგან“ შეძენილი ასფალტის წარმოებისთვის საჭირო დანადგარის (ტელტომატ V/3 R) საკითხის გათვალისწინებით;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო შეფასებისა და ზემოქმედების მნიშვნელობის დადგენის მიზნით (მათ შორის უახლოესი დასახლების მიმართულებით) მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარის მიმართულებები. ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით დაიგეგმოს სათანადო ქმედითი და შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი 4500 მეტრ მანძილზე ნორმირებული ზონის საკონტროლო წერტილების საკითხიც;
- გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (108 მეტრი) მდებარე ზედაპირული წყლის ობიექტის (მდ. მტკვარი) შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დამონტაჟებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, თითოეული მათგანისათვის არ აღემატება 85 დეციბელს და დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ვიბრაციის გამომწვევ წყაროს არ გადააჭარბებენ დასაშვებ ნორმებს. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ფაქტების სათანადო დასაბუთება, გამოთვლების ან/და ჩატარებული კვლევების შედეგების მითითებით. გზშ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს მოსალოდნელი ელექტრომაგნიტური გამოსხივების



**საკითხიც, გამოსხივების ინტენსივობის ფონური (ფაქტიური) დონეების სათანადო გაანგარიშების საფუძველზე;**

- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია: „რადგან ასფალტის ქარხნის ფუნქციონირებისას არ გამოიყენება თხევადი საწვავი (მაზუთი, დიზელის საწვავი), ამიტომ მათი დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს, ხოლო შეწონილი ნაწილაკებით მათი დაბინძურების კონცენტრაცია არ აჭარბებს ფონურ მაჩვენებლებს, რომელიც ზოგადად წარმოიქმნება რეგიონში წვიმის პერიოდში“. **გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის დამადასტურებელი ინფორმაცია;**
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია საწარმოს წარმადობის გაზრდა სამუშაო რეჟიმის ცვლილების ხარჯზე. გამომდინარე აქედან, **გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მწარმოებლობის შესაძლო გაზრდის/გაფართოების შესახებ;**
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ საკუთრებას, თუმცა სკოპინგის ანგარიშში განხილულია, როგორც შპს „ბიეს კოს“ საკუთრება, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან **გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- სკოპინგის ანგარიშში, პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის ქვეთავში მოცემულია- **სადნობი ღუმელის ალტერნატიული ვარიანტი, რაც საქმიანობის (ასფალტის წარმოება) სფეციფიკის გათვალისწინებით საჭიროებს დაზუსტებას;**
- **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;**

**გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად, ერთიანი ცხრილის სახით.**

#### **დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ჯი ეი ეფ გრუპის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალთაკლიაში ასფალტის წარმოებას **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.